ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

34(05)
I-29.

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1934 წ. სექტემბერის 5 № 25 ცფილისი

1548

შინაარსი

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა.

193. კოლხიდაში გადასახლებულთათვის შეღავათების მინიჭების შესახებ.

კომუნალური და საბინაო მეურნეობა.

194. „საბინაო მშენებლობის გაუმჯობესების თაობაზე“ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. აპრილის 23-ის დადგენილების განხორციელებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

ფინანსები.

195. საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის რეორგანიზაციის შესახებ.

196. „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1934 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების თაობაზე“ გამოცემული დადგენილების 17 და 72 მუხლის შეცვლის შესახებ.

განათლება.

197. პედაგოგიური განათლების მქონე პირთა მათ სპეციალობაში გამოყენების შესახებ.

სისხლის სამართალი.

198. სისხლის სამართლის კოდექსისათვის 185¹ მუხლის დამატების შესახებ.

სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება.

199. იმ დოკუმენტების ნუსხის დამატების შესახებ, რომლებითაც გადახდევინება სწარმოებს სანოტარო ორგანოების სააღსრულებო წარწერების თანახმად.

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა

193. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

კოლხიდაში გადასახლებულთათვის შეღავათების მინიჭების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლხიდაში ამიერკავკასიის უახლოესი, მცირემიწაწყლიანი რაიონებიდან გლეხთა გადასახლების სტიმილურების მიზნით იმ კოლექტიურ მეურნეობებს, კოლმეურნეობებს და მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეობებს, რომელნიც გადასახლდენ კოლხიდაში და სამეურნეოდ იყენებენ არა ნაკლებ, ვიდრე მიჩნეული მიწების ნახევარს, მიენიჭოთ შემდეგი შეღავათები:

1. განთავისუფლებულ იქნენ კოლექტიური მეურნეობანი და კოლმეურნენი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან სამი წლით, ხოლო ერთპიროვნული მეურნეობანი—ორი წლით.

2. განთავისუფლებულ იქნენ სახელმწიფოსათვის მარცვლეულისა, კარტოფილისა, ხორცეულისა, რძისა, კარაქისა და მატყლის სავალდებულო ჩაბარებისაგან და აგრეთვე ბოსტნეულის კონტრაქტაციისაგან კოლექტიური მეურნეობანი და კოლმეურნენი ორი წლით, ხოლო ერთპიროვნული მეურნეობანი—ერთი წლით.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი:**

1934 წ. ივლისის 29.

ტფილისი.

კომუნალური და საბინაო მეურნეობანი

194. დადგენილება ს.კ.ს.

„საბინაო მშენებლობის გაუმჯობესების თაობაზე“ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. აპრილის 23-ის დადგენილების განხორციელებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

„საბინაო მშენებლობის გაუმჯობესების თაობაზე“ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. აპრილის 23-ის დადგენილების მე-10 და 12 მუხლების (სსრკ კან. კრ. 1934 წ. მე-23 №-ი, მუხ. 180) განსავითარებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ზედამხედველობა იმისათვის, რომ საქალაქო საბჭოებმა და სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტებმა შეასრულონ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. აპრილის 23-ის დადგენილებით განსაზღვრული წესები საბინაო მშენებლობისა, ეკისრება საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის კომუნალური მეურნეობის ცენტრალურ ორგანოებს.

2. გაადვილებული, მცირესართულოვანი, კარკასული, ფარისებური და ბარაკული მშენებლობა, მომქმედი ნორმების საფუძველზე, შეიძლება მხოლოდ დროებითი საცხოვრებლებისათვის და მარტოოდენ საქართველოს სსრ სახალხო

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომისართა საბჭოს ნებართვით, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში—ამ რესპუბლიკებისა და ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების ნებართვით.

3. მიენდოს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს—გამოსცეს ინსტრუქცია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნული დადგენილების შეფარდებისათვის.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1934 წ. ივლისის 28.
ტფილისი.

ფ ი ნ ა ნ ს ე ბ ი

195. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის რეორგანიზაციის შესახებ.

საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის აპარატის საორგანიზაციო ნაკლოვანებათა ლიკვიდაციისა და მისი მუშაობის გარდაქმნისათვის თანახმად სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. მარტის 15-ის დადგენილებისა „საბჭოთა და სამეურნეო მშენებლობის სფეროში საჭირო საორგანიზაციო ღონისძიებათა შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1934 წ. მე-15 №-ი, მუხ. 103), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ლიკვიდირებულ იქნეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის შემდეგი ფუნქციონალური სექტორები: ა) საკრედიტო დაწესებულებებისა; ბ) სოციალისტური კულტურისა და მმართველობისა; გ) აღრიცხვის და სტატისტიკისა; დ) ფულადი რესურსების მობილიზაციისა და მასური სამუშაოებისა; ე) კადრებისა და ვ) აღსრულების შემოწმებისა.

2. დამტკიცებულ იქნეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის შემდეგი სტრუქტურა:

ა) სახალხო კომისარი;

ბ) სახალხო კომისრის მოადგილე (იგივე ერთ-ერთი სამმართველოს უფროსი);

გ) სამდივნო;

დ) სახელმწიფო ბიუჯეტის სამმართველო;

ე) ადგილობრივი ფინანსების სამმართველო;

ვ) მასურ გადასახადთა სამმართველო;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზ) სახელმწიფო შემოსავლისა და ვაჭრობის სამმართველო;

თ) სახალხო მეურნეობის დაფინანსების სამმართველო;

ი) საფინანსო-საბიუჯეტო ინსპექცია;

კ) სპეციალური განყოფილება და საიდუმლო ნაწილი.

3. მოწყობილ იქნეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან მის სისტემაში შემავალი ორი დამოუკიდებელი სამმართველო:

ა) სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროებისა და სახელმწიფო კრედიტის სამმართველო;

ბ) სახელმწიფო დაზღვევის სამმართველო.

4. გაუქმებულ იქნეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის კოლეგია და მოეწყოს სახალხო კომისართან საბჭო, რომლის შედგენილობაშიაც უნდა შევიდნენ, არანაკლებ, ვიდრე ნახევარი შედგენილობა, სარაიონო საფინანსო განყოფილებათა წარმომადგენელნი.

საბჭო მოიწვევა პერიოდულად, ორ თვეში ერთხელ.

5. ლიკვიდირებულ იქნეს სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროებისა და სახელმწიფო კრედიტის სამმართველოს შემდეგი ფუნქციონალური სექტორები: ა) საადმინისტრაციო-სამეურნეო; ბ) სარევიზიო-საკრედიტო; გ) სახელმწიფო კრედიტისა; დ) საშემნახველო საქმისა; ე) საორგანიზაციო-საფინანსო; ვ) საალრიცხვო; ზ) საგეგმო-ეკონომიური; თ) კადრებისა და ი) მასური სამუშაოებისა.

6. დამტკიცებულ იქნეს სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროებისა და სახელმწიფო კრედიტის სამმართველოს შემდეგი სტრუქტურა:

ა) სამმართველოს უფროსი;

ბ) სამდივნო;

გ) ოპერატიული განყოფილება;

დ) საორგანიზაციო-საფინანსო-საგეგმო განყოფილება;

ე) საბუხჰალტერო აღრიცხვის განყოფილება;

ვ) საკონტროლო-სარევიზიო განყოფილება.

7. დამტკიცებულ იქნეს სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს შემდეგი სტრუქტურა:

ა) სამმართველოს უფროსი;

ბ) უფროსის მოადგილე;

გ) მდივანი;

დ) საფინანსო-საანგარიშო ჯგუფი;

ე) საინსპექტორო ჯგუფი;

ვ) აგრონომიული ჯგუფი.

8. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს— დაამტკიცოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის შტატი.

9. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებელ კომიტეტებს—ჩაატარონ ამ რესპუბლიკებისა და ოლქის ცენტრალური საფინანსო ორგანოების ანალოგიური რეორგანიზაცია.

10. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს—გარდაქმნას ადგილობრივი საფინანსო ორგანოების აპარატი თანახმად სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. მარტის 15-ის დადგენილებისა „საბჭოთა და სამეურნეო მშენებლობის სფეროში საჭირო საორგანიზაციო ღონისძიებათა შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1934 წ. მე-15 №-ი, მუხ. 103).

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **თ. ულენტი.**

1934 წ. აგვისტოს 8.

ტფილისი.

---

196. დადგენილება ს.კ.ს.

„საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1934 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების თაობაზე“ გამოცემული დადგენილების 17 და 72 მუხლის შეცვლის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

მე-17 და 72 მუხლები საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. ივნისის 15-ის დადგენილებისა „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1934 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. მე-15 №-ი, მუხ. 139) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„17. სრულიად განთავისუფლდება დაბეგვრისაგან: კენაფის, კენდირის, რამის, საბაგირო მცენარის, პერილის, აბუსალათინის, ლუფის, არახისის და კაუჩუკოსანი მცენარის ნათესები, ციტრუსოვანი ნარგავები, ჩაის პლანტაცია და აგრეთვე სვიის და ეთეროვან-ზეთოვანი და სამკურნალო-ტექნიკური მცენარეების დაკონტრაქტებული ნათესი ფართობები.

სრულიად განთავისუფლდება დაბეგვრისაგან ხაოს ასაშლელი ბურძგლას ნათესი მძრალად მოხნულ მიწაზე იმ პირობით, თუ აგროტექნიკური წესები შესრულებულია“.

„72. სრულიად განთავისუფლდება დაბეგვრისაგან: კენაფის, კენდირის, რამის, საბაგირო მცენარის, პერილის, აბუსალათინის, ლუფის, არახისის და კაუჩუკოსანი მცენარის წათესი, ციტრუსოვანი ნარგავი და ჩაის პლანტაცია, აგრეთვე მრეწველობისათვის დაკონტრაქტებული ციკორის ყველა ნათესი ფართობი კულტურის ახალ რაიონებში, რომელთა ნუსხასაც დააწესებს სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატი, სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო

კომისარიატთან შეთანხმებით, და დაკონტრაქტებული ფართობი [illegible] ეთეროვან-ზეთოვანი და სამკურნალო-ტექნიკური მცენარეების ნათესისა.

სრულიად განთავისუფლდება დაბეგვრისაგან ხოლს ასაშლელი ბურძგლას ყველა ნათესი მძლავრად მოხნულ მიწაზე იმ პირობით, თუ აგროტექნიკური წესები შესრულებულია".

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის საქმეთა მმართველი ა. ქავთარაძე.

1934 წ. აგვისტოს 8.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 184 №-ში 1934 წ. აგვისტოს 10.

განათლება

197. დადგენილება ს.კ.ს.

პედაგოგიური განათლების მქონე პირთა მათ სპეციალობაში გამოყენების შესახებ.

„სსრ კავშირში დაწყებითი და საშუალო სკოლის სტრუქტურის შესახებ" გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1934 წ. მაისის 15-ის დადგენილების მე-12 მუხლის შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1934 წ. 26 №-ი, მუხ. 205), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. აეკრძალოს უწყებათ, დაწესებულებათ, ორგანიზაციათ, საწარმოთ და კოლექტიურ მეურნეობათ, მათი ხელმძღვანელების პირადი პასუხისმგებლობით, არა პედაგოგიური ხასიათის სამუშაოზე პედაგოგიური განათლების მქონე პირთა მიღება.

2. ჩატარებულ იქნეს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ა/წ. აგვისტოს 15-დან აგვისტოს 25-მდე პედაგოგიური განათლების მქონე, ხოლო არა თავიანთ სპეციალობაში მომუშავე პირთა (რომელთაც გათავებული აქვთ ყოფილი სამასწავლებლო ინსტიტუტი, სამასწავლებლო სემინარია, ყოფილი ათწლედი პედაგოგიური განხრით, პედაგოგიური ტექნიკუმები, პედაგოგიური ინსტიტუტები, კომუნისტური აღზრდის აკადემია და სხვა მისთ.) აღრიცხვა.

აღრიცხვა სწარმოებს ტფილისში—განათლების სახალხო კომისარიატთან, სხვა ქალაქებსა და რაიონებში—სახალხო განათლების ადგილობრივ განყოფილებებთან.

იმ პირს, ვინც აღრიცხვას თავს აარიდებს, დაედება ადმინისტრატიული გადასახდელი—ჯარიმა 100 მანეთამდე ადმინისტრატიულ გადასახდელთა დებულებით გათვალისწინებული წესისამებრ (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-20 №-ი, მუხ. 206; 1932 წ. 24 №-ი, მუხ. 236).

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. უწყებათა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელნი მოვალენი არიან, განათლების სახალხო კომისარიატის მოთხოვნით, გაანთავისუფლონ ორი დღის ვადაზე მუშაობისაგან პედაგოგიური განათლების მქონე პირნი და წარმართონ ისინი განათლების სახალხო კომისარიატის განკარგულებაში პედაგოგიურ სამუშაოზე დასანიშნავად.

4. ის პირი, ვინც თავს აარიდებს პედაგოგიურ სამუშაოზე წარმართვას, პასუხს აგებს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 61^1 მუხლის შესაბამისად.

5. ამა დადგენილების დარღვევაში დამნაშავე თანამდებობის პირი მიცემული იქნება პასუხისგებაში საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 115 მუხლის თანახმად.

საქ. სსრ ც. ა. კ. თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1934 წ. ივლისის 28.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 186 №-ში 1934 წ. აგვისტოს 12.

სისხლის სამართალი

198. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სისხლის სამართლის კოდექსისათვის 185^1 მუხლის დამატების შესახებ.

მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსისათვის—მომხმარებლის გაქურდვისა და საბჭოთა სახელმწიფოს მოტყუებისათვის პასუხისმგებლობის შესახები მუხლის დამატების თაობაზე გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წლის ივლისის 25-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ „იზვესტია“-ს 1934 წ. 182 №-ი), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს 185^1 მუხლი შემდეგი შინაარსისა.

„185^1 1) წონაში და ზომაში მყიდველების მოტყუებისა გაყიდვის დროს არასწორე სასწორისა, გირისა და სხვა არასწორე საზომი ხელსაწყოს გამოყენება, აგრეთვე 2) ფართო მოხმარების საქონელზე დაწესებული ცალობითი ფასების დარღვევა მაღაზიებში, დუქნებში, ფარდულებში, სასადილოებში, ბუფეტებში და სხვა მისთ., დაბალი ხარისხის საქონლის მაღალი ხარისხის საქონლის ფასად გაყიდვა, მყიდველისათვის საქონლის საპრეისკურანტო ფასის დამალვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისჯება, როგორც ნომხმარებლის გაქურდვა და საბჭოთა სახელმწიფოს მოტყუება,

თავისუფლების აღკვეთით ათ წლამდე".

სრ. საქ. ც. ა. კ.-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ის თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი თ. ჟღენტი.

1934 წ. აგვისტოს 8.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 185 №-ში 1934 წ. აგვისტოს 11.

სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება

199. დადგენილება ს.კ.ს.

იმ დოკუმენტების ნუსხის დამატების შესახებ, რომლებითაც გადახდევინება სწარმოებს სანოტარო ორგანოების სააღსრულებო წარწერების თანახმად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაემატოს „ა" კარს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. მაისის 23-ის დადგენილებისას „იმ დოკუმენტების შესახებ, რომლებითაც გადახდევინება სწარმოებს სანოტარო ორგანოების სააღსრულებო წარწერების თანახმად" (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-15 №-ი, მუხ. 126; 21 №-ი, მუხ. 208; 24 №-ი, მუხ. 256; 1933 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 26; 1934 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 35; 14 №-ი, მუხ. 138) 32 პუნქტი შემდეგი შინაარსისა:

[სანოტარო კონტორები და მათი მონაცვლე ორგანოები (სახელმწიფო ნოტარიატის დებულების 1-ლი მუხლი—საქ. სსრ კან. კრ. 1928 წ. მე-16 №-ი, მუხლი 157) გაუკეთებენ სააღსრულებო წარწერებს შემდეგ დოკუმენტებს:

ა. ფულის გადასახდევინებლად: . . . .]

„32) ისეთ დოკუმენტს, რომლითაც მტკიცდება ფქვილის მყიდველის უფლება მიიღოს ხელშეკრულებით გამყიდველ-მიმწოდებლისაგან თავისი ხვედრი თანხა რეფაქციისა და ჯარიმის მიხედვით არასტანდარტული პროდუქციისათვის, აგრეთვე ისეთ დოკუმენტს, რომლითაც მტკიცდება გამყიდველ-მიმწოდებლის უფლება მიიღოს ხელშეკრულებით მყიდველისაგან თავისი ხვედრი ბონიფიკაცია ფქვილის საუკეთესო ხარისხისათვის, უკეთუ წარდგენილ იქნება: ა) ასლი ანგარიშისა რეფაქციით ან ბონიფიკაციით სარგებზე, რაც გადახდილი არ არის; ბ) გამოანგარიშება, რაც უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებს: ვაგონების ნომრებს, პურის სახელმწიფო ინსპექციის სერტიფიკატების ან სხვა, ამათ სანაცვლო დოკუმენტების ნომრებს, ხელშეკრულებით გასაგზავნი ფქვილის ხარისხს, რაოდენობას, გაგზავნის სადგურს და დანიშნულების სადგურს, გაგზავნისა და მიღების თარიღებს, რეფაქციისა და ბონიფიკაციის მაჩვენებლებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთო-საკავშირო სტანდარტების მიხედვით; **გ)** პურის სახელმწიფო ინსპექციის დედანი სერტიფიკატები, ან პურის სახელმწიფო ინსპექციის ცენტრალური ლაბორატორიის სათანადო გადაწყვეტილება, ან და წისქვილის თვისებითი დოკუმენტი, რაზედაც მიმღები დავას არ აცხადებს; **დ)** ცნობა ხელშეკრულებით მოპასუხისათვის ანგარიშისა და გამოანგარიშების წარდგენის დროის შესახებ" („გ" ქვეპუქ.); ამ ცნობიდან უნდა ჩანდეს, რომ ხელშეკრულებით მოპასუხისათვის ანგარიშისა და გამოანგარიშების წარდგენის მომენტიდან გასულია არა ნაკლებ 10 დღისა, და რომ მოპასუხისაგან არ შემოსულა მისაგებელი გამოანგარიშებანი რეფაქციის ან ბონიფიკაციის მომქმედი ნორმების სისწორით შეფარდების თაობაზე ან მითითება გადასახდელი თანხების არასისწორით გამოანგარიშების შესახებ; ეს ცნობა შეიძლება წარდგენილ იქნეს მარტო გადამხდევინებლის ხელისმოწერით.

ჯარიმის გადახდევინებისათვის სააღსრულებო წარწერის მისაღებად საჭიროა წარდგენილ იქნეს, „ა" და „დ" ქვეპუნქტებში აღნიშნული დოკუმენტების გარდა, აგრეთვე ხელშეკრულების ამონაწერი—სახელდობრ იმ ნაწილისა, რომლითაც განისაზღვრება ჯარიმის გადახდევინების წესი და რაოდენობა, და მიწოდების ის თვიური გეგმები, რა თვეებისათვის გადასახდევინებელია ჯარიმა".

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1934 წ. ივლისის 28.
ტფილისი.

ფასი 20 კაპ.

გამომცემელი საქ. სსრ ს. კ. ს-ოს / საქმ. მმართველობა 1934 წ. № 49 პ/მ. რედაქტორი **ე. გამრეკელი**

ქაღალდის ფორმაღი 62×94 სანტ., 5/8 ბეჭდვ. ფურც., 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბის ნიშანი.

გადაეცა სტამბას 15/VIII, ხელმოწერილია დასაბეჭდათ 3/IX. ტირაჟი 1.600.

მთავლ. რწმ. ს.—№ 72. საქ სსრ. სახალხო კომისართა საბჭოს სტამბა შეკვ. № 1297.